<u>პროექტი</u>

საქართველოს კანონი
„საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ"

მუხლი 1. საქართველოს საგადასახადო კოდექსის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №54, 12.10.2010, მუხ. 343) შეტანილი იქნეს შემდეგი ცვლილება და 81-ე მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საცხოვრებელი ფართობის ორგანიზაციაზე, იურიდიულ პირზე ან ფიზიკურ პირზე საცხოვრებელი მიზნით გაქირავების შედეგად იმ ფიზიკური პირის მიერ მიღებული შემოსავალი, რომელიც ამ შემოსავლიდან გამოქვითვებს არ ახორციელებს, 5 პროცენტით იბეგრება, თუ ის არ ხვდება საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მიკრო ბიზნესის სტატუსი მქონე ფიზიკური პირის სპეციალური დაბეგვრის რეჟიმში.".

მუხლი 2.

საქართველოს მთავრობას დაევალოს ცვლილებების განახორციელება საქართველოს მთავრობის დადგენილებაში სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების შესახებ და ამოღებულ იქნეს დანართი N3-ის პირველი ნაწილი.

მუხლი 3. ეს კანონი ამოქმედდეს 2019 წლის პირველი იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი